პრაქტიკული სახელმძღვანელო ფერმერებისთვის: მიიღეთ უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილებები

ტრენერის გზამკვლევი

ტრენინგ მოდული შედგენილია **საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით**, „ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამის **(EFSE DF)** მხარდაჭერითა და არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების სააგენტოს“ **(სიდა)** ჩართულობით.

ტრენერის გზამკვლევის შესახებ:

ტრენერის გზამკვლევი არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ფერმერთათვის პრაქტიკული სახელმძღვანელოს კურსის მიწოდებისთვის. გზამკვლევში მოცემული სასწავლო მასალებისა და მეთოდოლოგიის დეტალური განხილვა, ტრენერს ეხმარება ტრენინგის დეტალურად დაგეგმვასა და მის ეფექტურად წარმართვაში.

კურსი უზრუნველყოფილია PPT პრეზენტაციით. ტრენერის გზამკვლევი მოიცავს სახელმძღვანელოსთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ძირითადი გზავნილები - ძირითადი გზავნილები მოიცავს თითოეულ სლადზე განთავსებული ინფორმაციის შეჯამებას. ტრენერის მხრიდან ხდება ძირითადი გზავნილების გაშლა და შინაარსის იმგავარად ახსნა, რომ მსმენელთათვის გასაგები გახდეს მისი არსი.

ტრენინგი პროცესის გზამკვლევი - თითოეულ სლაიდზე მოცემული ინფორმაციის ახსნასთან დაკავშირებულ ინსტრუქციას იძლევა ტრენერისთვის და კარნახობს იმ ნაბიჯებს, რომლებიც უნდა განახორციელოს მან ტრენინგის მსვლელობისას, მათ შორის ინსტრუქციას საკითხის აუდიტორიისთვის უკეთ გადასაცემად, მსმენელთა ჩართულობის გასაზრდელად და სხვა.

შინაარსი - მოიცავს სლაიდზე განთავსებული ინფორმაციის შინაარსს. ხშირად, სლაიდში მოცემულია ინფორმაცია მხოლოდ ფრაზის, ცხრილის, გრაფიკის ან სხვა სახით. ამიტომ, შინაარსის ნაწილში ასახულია ის ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანია, რომ მოისმინონ ტრენინგის მონაწილეებმა და, რაც კურსის შემუშავებისას იყო გათვალისწინებული. გზამკვლევში შესაძლებელია მითითებული იყოს კურსის სახელმძღვანელოდან თავი/ქვეთავი, სადაც მოცემულია ინფორმაცია კონკრეტული სლაიდის შინაარსთან დაკავშირებით.

დამატებითი ინფორმაცია - საჭიროების შემთხვევაში, სლაიდების შინაარსთან დაკავშირებით მოცემულია დამატებითი ინფორმაცია. დამატებითი ინფორმაცია შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის შეხსენება, რომელიც უნდა მიეწოდოს ტრენინგის მონაწილეებს მომდევნო საკითხის დაწყებამდე და არსებული საკითხის შესახებ ცოდნის გასაღრმავებლად. ის ასევე შეიძლება მოიცავდეს სლაიდის შინაარსთან დაკავშირებულ სასწავლო რესურსებს, როგორიცაა სამართლებრივი წყაროები, უწყისების შაბლონები, თარიღები და სხვა, რაც დაეხმარება ტრენინგის დამსწრეებს მოცემული საკითხის უფრო სიღრმისეულად გარჩევაში.

შენიშვნები - ამ ნაწილში მოცემულია ის ინფორმაცია, რაც შეიძლება არ იყოს დატანილი სლაიდზე, რადგან ის არ ითვლება კურსის ძირითად გზავნილად, თუმცა საჭიროა, რომ გაჟღერდეს ტრენინგის მსვლელობისას.

ხანგრძლივობა - ეს ნაწილი მოიცავს საკითხის განხილვისთვის განკუთვნილ დროს. ასევე დროს შესვენებისთვის.

სახელმძღვანელო - ეს არის სახელმძღვანელო, რომლის საფუძველზეც შედგენილია ტრენინგის კურსის შინაარსი. აღნიშნული სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ტრენინგის მონაწილეებისთვის და კურსის მსვლელობისას ტრენერმა ხელი უნდა შეუწყოს მის გამოყენებას, მათ შორის, სლაიდში გარკვეულ მაგალითებს ან განმარტებებს შესაძლებელია მიეთითოს სახელმძღვანელოს გვერდები.სახელმძღვანელოს თავები/ქვეთავები.

ტრენინგ კურსის აღწერა

ტრენინგის ხანგრძლივობა შეადგენს ერთ დღეს, 8 საათიან სამუშაო პროცესს. კურსი შედგენილია პრაქტიკული სახელმძღვანელოს - „მიიღეთ უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილება“ შინაარსზე დაყრდნობით. კურსის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია ფერმერებს დაეხმარება გაიღრმავონ ცოდნა და განივითარონ ფინანსური გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო უნარები, მიიღონ უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილება საკუთარი ბიზნესის განვითარების გეგმის დასაფინანსებლად.

კურსი შედგენილია იმგვარად, რომ უზრუნველყოს ტრენინგის დამსწრეების ჩართულობა პრაქტიკული მაგალითების საშუალებით. გარდა ამისა, დამსწრეებს დაურიგდებათ პრაქტიკული სახელმძღვანელო.

მიზნობრივი აუდიტორია

კურსი განკუთვნილია ფერმერებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან აგრობიზნესის სფეროში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა სხვადასხვა საკითხებში უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ჯგუფის მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 12-15 მონაწილით;

ტრენინგ კურსის მიზნები

კურსის მიზანია ტრენინგის მონაწილეებმა მიიღონ ინფორმაცია აგრობიზნესის დაფინანსების წყაროების და ფინანსური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული საყურადღებო საკითხების შესახებ. ამასთან, კურსი მსმენელს შეასწავლის სასოფლო სამეურნეო საქმიანობის საჭიროებების დაფინანსებასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სესხის ტიპები, საბრუნავი კაპიტალის გაზრდისა და ძირითადი საშუალებების შეძენის დაფინანსების შესაძლებლობები, ფერმერის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, დაფინანსების მოპოვების სხვადასხვა წყაროები, მათი უპირატესობები და საყურადღებო საკითხები, სხვადასხვა საბანკო თუ ფინანსური პროდუქტები, რა არის დაზღვევა და მათ შორის აგროდაზღვევა და აშ. სახელმძღვანელო შეასწავლის ბიზნესის განვითარების გეგმის დაფინანსებისთვის ბიზნესის შესაძლებლობების შეფასებისა და საუკეთესო პირობების შერჩევის საშუალებებს და ბოლოს, კურსი მსმენელებს გააცნობს გადახდის ისეთი გრაფიკის შერჩევის შესაძლებლობებს, რომელიც საუკეთესოდ მიესადაგება ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას.

ტრენინგ კურსის შედეგები

კურსის დასრულებისას მსმენელს ექნება:

- ✓ ცოდნა აგრობიზნესის განვითარების გეგმის დაფინანსების წყაროების და მათთან დაკავშირებული საყურადღებო საკითხების შესახებ;
- ✓ ცოდნა სესხის ტიპების, მათი მიზნობრიობის, დაფინანსების წყაროების უპირატესობებისა და საყურადღებო საკითხების შესახებ;

- ✓ ცოდნა ბინზესის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა და მისი შემადგენელი ნაწილების შესახებ;
- ✓ ინფორმაცია საბრუნავი კაპიტალის გასაზრდელად და ძირითადი საშუალებების შესაძენად შესაფერისი დაფინანსების წყაროების შესახებ;
- ✓ ინფორმაცია დაზღვევის, მათშორის აგროდაზღვევის შესახებ;
- ✓ უნარი დამოუკიდებლად განსაზღვროს სესხის ოპტიმალური მოცულობა და ბიზნესის გადახდისუნარიანობა;
- ✓ უნარი განსაზღვროს ბიზნესის ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი;
- ✓ უნარი შეარჩიოს დაფინანსების პირობები, რომლებიც საუკეთესოდ შეესაბამება ბიზნესის განვითარების გეგმას;
- ✓ ინფორმაცია თუ რა ტიპის საპროცენტო განაკვეთები არსებობს, რატომ იცვლება განაკვეთები და რომელი ტიპის საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი მიესადაგება ბიზნესს განვითარების გეგმას უკეთესად;
- ✓ ცოდნა თუ როგორ მიუსადაგოს გადახდის გრაფიკი ბიზნესის ფულადი შემოდინებების ნაკადს;
- ✓ ინფორმაცია ენერგოეფექტიანი ინვესტიციებისა და ხარჯების შემცირებაზე;
- ✓ ცოდნა მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ;

ტრენინგ სივრცე და ორგანიზება

ტრენინგ სივრცის დალაგება უმჯობესია П პრინციპით. ზოგადად, ტრენინგი მოიცავს პრაქტიკულ ამოცანებსა და მაგალითებს, შესაძლებელია მსმენელებს დასჭირდეთ მათთვის საინტერესო საკითხების ჩანიშვნა და აუცილებელია სივრცე უზრუნველყოფილი იყოს მაგიდებით.

ტრენინგის სესიის დაწყებამდე მიმდინარეობს მსმენელებთა რეგისტრაცია, წინასწარ მომზადებულ სარეგისტრაციო უწყისში.

ტრენინგის მონაწილეებს დაურიგდებათ კალმები, ბლოკნოტები და პრაქტიკული სახელმძღვანელო ფერმერებისთვის: „ფინანსური გადაწყვეტლების მიღება“, რომელიც სრულყოფილად მოიცავს ტრენინგით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

კურსი მოიცავს ტრენინგამდე და ტრენინგის შემდგომ ტესტს, რომელიც ზომავს, თუ რამდენად გაუმჯობესდა მონაწილეთა ცოდნა/კომპეტენცია ტრენინგით გათვალისწინებულ საკითხებთან მიმართებაში.

ტრენინგ სესია

ტრენინგ კურსი დაყოფილია საკითხებად და მოიცავს ერთ 40 წუთიანი სადილის შესვენებას და ორ 15 წუთიან ყავის შესვენებას.

ტრენინგის შინაარსობრივი ნაწილი დაყოფილია შემდეგ საკითხებად:

1. **საკითხი-ფერმერობა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა:**

- ინფორმაცია სახელმძღვანელოს (სახელმძღვანელოს) შესახებ;
- ფულადი ნაკადების მოძრაობა;
- ოთხი ნაბიჯი ფინანსური გადაწყვეტილების მიღებამდე.

2. **საკითხი-ნაბიჯი 1. გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის:**

- რა ტიპის სესხი ან სასაქონლო კრედიტი გჭირდებათ? (სესხი საბრუნავი კაპიტალის გასაზრდელად, სესხი ძირითადი საშუალებების შესაძენად, სესხი შერეული მიზნობრიობისათვის);
- მცირე ფერმერის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ნიმუში;
- საბალანსო უწყისის ტერმინების განმარტება.

3. **საკითხი-როდესაც საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ:**

- დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 1: სასაქონლო კრედიტი;
- დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 2: ფინანსური ორგანიზაციისგან სესხის აღება
- უზრუნველყოფა;
- პრაქტიკული მაგალითი: სასაქონლო კრედიტი თუ სესხი საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად
- საბანკო გარანტია;
- ბიზნესოვერდრაფტი;
- კერძო პირისგან სესხის აღება.

4. **საკითხი-როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსებას გჭირდებათ:**

- დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 1: ფინანსური ორგანიზაციისგან სესხის აღება
- დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 2: სალიზინგო კომპანიისგან დაფინანსების მიღება
- დაფინანსების სხვა წყაროები: საგრანტო შესაძლებლობები, სახელმწიფო პროგრამები;
- აგროდაზღვევა.

5. **საკითხი-ნაბიჯი 2. შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები ბიზნესის განვითარებისათვის დაფინანსების მოსაპოვებლად.**

- ბიზნესის ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი;
- პრაქტიკული მაგალითი: ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის განსაზღვრა.

6. **საკითხი-ნაბიჯი 3. შეარჩიეთ პირობები, რომლებიც საუკეთესოდ შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას:**

- ბიზნეს სესხის ტიპები და მათი დაფარვის ვადები;
- საკრედიტო ხაზი;
- ვალუტის კურსის ცვლილების რისკი;
- საპროცენტო განაკვეთები;
- ფიქსირებული და ინდექსირებული (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთები;
- რას ნიშნავს ნომინალური და ეფექტური საპროცენტო განაკვეთები?

7. **საკითხი-რა უნდა გავითვალისწინოთ სესხის სხვადასხვა ალტერნატივების განხილვისას?**

- რჩევა 1. ერთმანეთს შეუდარეთ ფინანსური ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული სესხების ეფექტური და არა მხოლოდ ნომინალური საპროცენტო განაკვეთები;

- რჩევა 2. სესხის გადახდის გრაფიკის შერჩევისას გაითვალისწინეთ, რომ სხვადასხვა გრაფიკით სესხის დაფარვა, როგორც წესი,განსხვავებულ საპროცენტო ხარჯსაც გულისხმობს;
- რჩევა 3. დაგეგმეთ და წინასწარ განსაზღვრეთ ბიზნესსესხის მიღების დრო, რათა იგი თქვენი ბიზნესის დაფინანსების საჭიროების პერიოდს დაემთხვას.

8. საკითხი-როგორ მოარგოთ სესხის ვადა ბიზნესში განხორციელებულ ინვესტიციას?

- საბრუნავი თანხების შემცირება;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
- საბალანსო უწყისის ნიმუში „დაუბალანსებელი“ ვალდებულებებით;
- საბალანსო უწყისისს ნიმუში დაბალანსებული ვალდებულებებით.

9. საკითხი-ნაბიჯი 4: შეარჩიეთ ვალდებულების გადახდის ისეთი გრაფიკი, რომელიც თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას შეესაბამება.

- სასესხო შენატანების განრიგი;
- სასესხო შენატანები;
- ვალუტა.

10. საკითხი- ინვესტიციები ენერგოეფექტიანობის გაზრდისა და ხარჯების შემცირებისთვის:

- ენერგოეფექტიანობის ინვესტიციები;
- პრაქტიკული მაგალითი: მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურენო ტექნიკა.

11. საკითხი-პრაქტიკული ბიზნეს მაგალითი: ახალი ტრაქტორის შეძენა და ბეღელის აშენება:

- თითოეული ნაბიჯის გათვალისწინებთ ბიზნესის განვითარების გეგმის დაფინანსებისთვის საუკეთესო გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკული მაგალითი.

12. საკითხი-მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობა

- უფლებებისა და პასუხისმგებლობების მიმოხილვა;
- ვის შეგიძლიათ მიმართოთ, თუ ფინანსური ორგანიზაციის მიმართ პრეტენზია გაქვთ?

13. საკითხი-არ დაგავიწყდეთ, იკითხოთ

14. საკითხი-სასარგებლო ბმულები.

იქიდან გამომდინარე, რომ კურსი მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტებს და ასევე თითოეული შემდგომი საკითხის დასაძლევად საჭიროა წინა ინფორმაციის გაგება, უმჯობესია აუდიტორიამ შეკითხვები დასვას ტრენინგის მსვლელობისას და არა მისი დასრულებისას. თუმცა, ტრენინგის დასრულების შემდგომ დამატებითი შეკითხვების საფუძველზე კიდევ ერთხელ შეიძლება შეჯერდეს კურსის შინაარსი.

ტრენერის გზამკვლევი კურსის წარმართვისთვის:

მნიშვნელოვანია, რომ კურსი წარმართული იყოს ტრენერის გზამკვლევის მიხედვით. იმისათვის, რომ კურსის მიზნები და შედეგები იქნას მიღწეული, აუცილებელია, რომ კონკრეტული საკითხის შესაბამისი სლაიდი იყოს განხილული და გარჩეული ისე, როგორც ტრენერის გზამკვლევშია ასახული. ეს გულისხმობს თითოეული სლაიდისთვის გზამკვლევით განსაზღვრული ძირითადი გზავნილების გამოკვეთას და მაგალითების განხილვას. ტრენერის გზამკვლევი დამხმარე სახელმძღვანელოა, რომელიც განსაზღვრავს ტრენინგის შინაარსის საზღვრებს და ტრენერს აძლევს მიმართულებას; აუდიტორიის ჩართულობის უზრუნველყოფა, მათთვის ინფორმაციის გასაგებად ახსნა და კურსის შინაარსის სრულყოფილად მიწოდება კი ტრენერის პასუხისმგებლობაა.

ტრენინგი:

ტრენინგის დაწყება:

- რეგისტრაცია;
- მისალმება და ტრენერის წარდგენა, გამოცდილების გაზიარება;
- კურსის შინაარსის გაცნობა;
- დღის წესრიგის გაცნობა;
- მონაწილეების გაცნობა;
- სამუშაო წესების შემუშავება;
- მოლოდინების განსაზღვრა;
- პრე ტესტი.

ხანგრძლივობა: 25 წუთი

აღნიშნული საკითხის ფარგლებში ძირითადი აქცენტი კეთდება ტრენინგის მიწოდებისთვის საჭირო ტექნიკურ ასპექტებზე. თუ, როგორ უნდა დაიწყოს და წარმართოს ტრენინგის პროცესი ტრენერმა. რა ინფორმაციას მოიცავს სარეგისტრაციო ფურცელი და დღის წესრიგი, როგორ უნდა მოახდინოს მონაწილეთა მოლოდინების ასახვა, რისთვისაა საჭირო ტესტი და აშ.

ტრენინგ პროცესი:

- უშუალოდ სესიის დაწყებამდე, მოახდინეთ დამსწრეთა რეგისტრაცია;
- მიესალმეთ დამსწრეებს, მიეცით საშუალება, რომ დაიკავონ ადგილები, გაეცანით და გააცანით თქვენი გამოცდილება;
- გახსნილი გქონდეთ პირველი სლაიდი, სადაც ასახულია ტრენინგის სათაური;
- მსმენელებს გააცანით ტრენინგის სათაური, რას შეისწავლიან ტრენინგის განმავლობაში და რისთვის ან ვისთვისაა განკუთვნილი ეს ტრენინგი;
- გააცანით კურსის სახელმძღვანელო, რომელიც დარიგებული ექნებათ ტრენინგამდე;
- აუხსენით, რომ სლაიდებზე ასახული თემები შეესაბამება სახელმძღვანელოში მოცემულ შინაარსს;
- გააცანით, ტრენინგის დღის წესრიგი: რამდენ ხნიანია ტრენინგი, როდის ექნებათ შესვენება;

აუხსენით აუდიტორიას, რომ შეკითხვების დასასმელად არ დაელოდონ ტრენინგის დასრულებას. აუდიტორიის მაქსიმალურად ჩართვის მიზნით, უმჯობესია მსმენელებს საშუალება მისცეთ კითხვები დასვან მყისიერად, მათი გაჩენისთანავე;

- აუდიტორიის გასაცნობად გამოიყენეთ ყინულის გამლღობი დავალება-„ერთმანეთის წარდგენა“. მიეცით თითოეულ მონაწილეს დავალება, თავისი გვერდით მჯდომის შესახებ გაიგოს საკვანძო ინფორმაცია, რათა შემდგომ წარადგინოს იგი. . ჰკითხეთ, (სახელი; გვარი, რა დარგში მოღვაწეობენ. აქვთ თუ არა აგრობიზნესთან ან ფინანსურ სექტორთან ურთიერთობის გამოცდილება და რა ტიპის და აშ);
- ტრენინგის პროცესის წარმართვისთვის, მონაწილეებთან ერთად შეიმუშავეთ სამუშაო წესები. მაგალითად: მობილური ტელეფონის ზარების პასუხის, შესვენებაზე გასვლისა და დაბრუნების დროის, სესიის დროს ხმაურს, პარალელური ლაპარაკის და აშ. შესახებ;
- მონაწილეებს სთხოვეთ წინასწარ დარიგებულ წებოვან ფურცლებზე-„სტიკერებზე“ ჩამოწერონ თუ რა მოლოდინები აქვთ ტრენინგისგან, ცალკე „ფლიპ ჩარტის“ ფურცელზე ან დაფაზე თვალსაჩინოებისთვის მიაკარით ეს მოლოდინები, რათა ტრენინგის დასრულების შემდგომ შეადაროთ დამსწრეთა მოლოდინები და ტრენინგიდან მიღებული ინფორმაცია;
- აღნიშნეთ, რომ სანამ ტრენინგის შინაარსზე გადახვალთ, მსმენელებმა უნდა შეავსონ ტრენინგის ტესტი (პრე ტესტი), რომელიც განთავსებულია მაგიდებზე. განუმარტეთ, როგორ უნდა შეავსონ პრე-ტესტი: რომ სავარაუდო პასუხები უნდა შემოხაზონ და მხოლოდ 1 პასუხია სწორი. ხაზი გაუსვით იმ საკითხს, რომ ეს ტესტი არის ანონიმური, მსმენელები არ დააწერენ სახელს და გვარს და ტესტის მიზანია არა მონაწილეთა შემოწმება, არამედ მხოლოდ ტრენინგის შინაარსისა და მსვლელობის სამომავლო დახვეწა. აუხსენით, რომ ტრენინგის ბოლოს მსმენელები დაწერენ პოსტ-ტესტს, საიდანაც გამოჩნდება, როგორი შედეგი ჰქონდა ტრენინგს, და შეიძინეს თუ არა მონაწილეებმა დამატებითი ცოდნა.

შინაარსი

ტრენინგის დაწყება:

ტრენინგის დაწყება მნიშვნელოვანად განსაზღვრავს საბოლოო ჯამში ტრენინგის წარმატებულად მიწოდებას მსმენელთათვის. ამიტომ, მნიშვნელოვანია გამოიყენოთ წინასწარ განსაზღვრული ინსტრუმენტები, რათა მოიპოვოთ ჯგუფის კეთილგანწყობა და შექმნათ სანდო გარემო.

რეგისტრაცია: რეგისტრაცია ხორციელდება ტრენინგის სესიების დაწყებამდე. თითოეული მონაწილე ავსებს იმ საინფორმაციო ველებს, რომლებიც მოცემულია რეგისტრაციის ფურცელზე და აწერს ხელს.

მისალმება და ტრენერის წარდგენა, გამოცდილების გაზიარება: მისალმება და წარდგენა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია ტრენერსა და ჯგუფს შორის გარკვეული შეხედულებებისა და კეთილგანწყობის ჩამოსაყალიბებლად, ამიტომ სასურველია თქვენი თავი აუდიტორიას წარუდგინოთ მოკლედ, ისაუბროთ თქვენს პროფესიულ გამოცდილებაზე, ისე, რომ თავი არ წარმოაჩინოთ ჯგუფზე აღმატებულად. როგორც წესი აღნიშნული უფრო სანდო გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს.

კურსის შინაარსის გაცნობა: გაცნობა ხდება მოლოდ ძირითად ასპექტებზე ინფორმაციის მიწოდებით. ტრენინგის მონაწილეებისთვის გაცნობილი იქნება ტრენინგის სათაური, რას შეისწავლიან კურსის განმავლობაში, რას მოიცავს სახელმძღვანელო და რისთვის ან ვისთვისაა განკუთვნილი ეს ტრენინგი. ასევე, განმარტება უნდა იქნას გაკეთებული პრეზენტაციის სლაიდებზე, რომ მოცემული ინფორმაცია შეესაბამება კურსის მასალას და სლაიდებზე ასახულია მხოლოდ მცირე ამონარიდები ამ მასალიდან.

დღის წესრიგის გაცნობა: ტრენერი მონაწილეებს წინასწარ დარიგებული დღის წესრიგის საშუალებით, აცნობს ტრენინგის ხანგრძლივობას, შესვენებების რაოდენობას, საათს, თუ როდის იქნება შესვენებები. ასევე ძირითადი საჭიროების დაკმაყოფილების საშუალებების მდებარეობას: წყალი, საპირფარეშო, კვებისა და ყავის შესვენების ადგილები და აშ.

მონაწილეების გაცნობა: ტრენერი „ყინულის გალმღობი დავალების" ფარგლებში მონაწილეებს აძლევს დავალებას წარადგინონ ერთმანეთი. აძლევს გარკვეულ დროს ერთმანეთის გასაცნობად და სთხოვს მოკლედ გადმოსცენ ინფორმაცია მათ შესახებ, სახელი-გვარი, საქმიანობის სფერო, პროფესია, ტრენინგის თემატიკასთან მიმართებაში გამოცდილება და აშ. სასურველია, რომ თითოეული მონაწილის გაცნობა არ აღემატებოდეს ერთ წუთს. აუხსენით, რომ წარდგენსთვის აქვთ მხოლოდ განსაზღვრული დრო და შეეცადონ თავისი „მეზობელი" წარმოადგინონ პროფესიონალური კუთხით. წარდგენის დასრულების შემდგომ, გადაუხადეთ მადლობა და გადადით შემდგომ მონაწილეზე.

სამუშაო წესების შემუშავება: შესაძლოა, ერთი შეხედვით ჩანდეს, რომ ეს არც ისე მნიშვნელოვანი პუნქტია, თუმცა როგორც კი ტრენინგის მანძილზე მონაწილეთა ემოციებთან მოხდება შეხება, აშკარა ხდება, რომ დასაწყისში შემუშავებული ნორმები ძალიან გამოსადგები იქნება. წესი შეიძლება იყოს მრავალნარი, მაგალითად: არ გადავუხვიოთ საკითხიდან, მოვუსმინოთ ერთმანეთს ყურადღებით, დავიცვათ რეგლამენტი, ერთმანეთის აზრს ვცეთ პატივი და აშ. უმჯობესია თუ ამ წესებს მონაწილეები თავად შეიმუშავებენ და არ იქნება ეს თქვენი ინიციატივით „თავსმოხვეული". ასეთ შემთხვევაში მათ მეტი პასუხისმგებლობა გაუჩნდებათ ნამდვილად დაიცვან მიღებული ნორმები.

მოლოდინების განსაზღვრა: ეხმარება ტრენერს ზუსტად გაიგოს რას ელოდებიან ამ ტრენინგისგან ჯგუფის წევრები. მოცემული აქტივობა ბევრ საინტერესო ინფორმაციას იძლევა, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მონაწილემ კარგად არც იცის რას ემსახურება ტრენინგი, და სრულიად შეუსატყვისი მოლოდინი აქვს. ან კი პირიქით, უფრო ღრმად სურს საკითხის განხილვა, ვიდრე ამას თქვენ აპირებთ. ამიტომ ეს პროცესი დაგეხმარებათ წინასწარვე შეათანხმოთ საჭიროებები და განმარტოთ რა იქნება ტრენინგზე და რა არ იქნება. მოლოდინების გამოსაკითხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სტიკერები, რომლებზეც მონაწილეები დაწერენ თუ რას ელოდებიან ტრენინგისგან და რას არ ელოდებიან. გააკარით ეს ფურცლები თვალსაჩინო ადგილას და შეაჯამეთმათზე დაწერილი ინფორმაცია. შეჯამებული ინფორმაცია გადმოეცით ჯგუფს და უთხარით თუ რა მოლოდინები გაუმართლდებათ და რა მოლოდინები არა. აუხსენით, რომ ტრენინგის მსვლელობისას თქვენ ეცდებით მაქსიმალურად გაამართლოთ მათი მოლოდინები და ასევე აუხსენით თუ რას ელოდებით მათგან.

პრე ტესტი: პრე ტესტი ივსება ტრენინგის საწყის სესიაზე. ტესტებში მოცემულია კითხვები და შესაბამისი პასუხები, რომელთაგანაც თითო პასუხი სწორი ვერსიაა. შეკითხვები მთლიანად მოცემულია მასალის შესაბამისად.

ტრენინგის სახელმძღვანელოს შინაარსი

ამ ნაწილში მოცემულია ინფორმაცია აგრო ბიზნესის დაფინანსების წყაროების და ფინანსური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული საყურადღებო საკითხების შესახებ. ამასთან, კურსი მსმენელს შეასწავლის სასოფლო სამეურნეო საქმიანობის საჭიროებების დაფინანსებასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სესხის ტიპები, საბრუნავი კაპიტალის გაზრდისა და ძირითადი საშუალებების შეძენის დაფინანსების შესაძლებლობები, ფერმერის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, დაფინანსების მოპოვების სხვადასხვა წყაროები, მათი უპირატესობები და საყურადღებო საკითხები, სხვადასხვა საბანკო თუ ფინანსური პროდუქტები, რა არის დაზღვევა და მათ შორის აგროდაზღვევა და აშ. ამასთანავე, შეასწავლის ბიზნესის განვითარების გეგმის დაფინანსებისთვის ბიზნესის შესაძლებლობების შეფასებისა და საუკეთესო

პირობების შერჩევის საშუალებებს, გადახდის ისეთი გრაფიკის შერჩევას, რომელიც საუკეთესოდ მიესადაგება ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას და აშ.

1. **საკითხი-ფერმერობა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა:**

- ინფორმაცია სახელმძღვანელოს (სახელმძღვანელოს) შესახებ;
- ფულადი ნაკადების მოძრაობა;
- ოთხი ნაბიჯი ფინანსური გადაწყვეტილების მიღებამდე.

ხანგრძლივობა 20 წთ.

ძირითადი გზავნილები:

სლაიდის ძირითადი დანიშნულებაა ტრენინგის მონაწილეებს გააცნოს ინფორმაცია სახელმძღვანელოსა და მისი შემქმნელების შესახებ, რისთვის და ვისთვისაა განკუთვნილი აღნიშნული პრაქტიკული სახელმძღვანელო. ფერმერები მიიღებენ ინფორმაციას რატომ გახდა სახელმძღვანელოს შექმნა აუცილებელი, როგორ მოძრაობს ფული ფერმერულ მეურნეობებში. გაეცნობიან უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილების მისაღებად რა ნაბიჯები უნდა გადადგან.

ტრენინგ პროცესი:

- გახსენით სლაიდი, სადაც მოცემული იქნება სახელმძღვანელოს შესახებ ინფორმაცია, მისი შემქმნელების დასახელებები და ლოგოები. აუხსენით მსმენელებს ვინ არიან სახელმძღვანელოს შემქმნელები, ვისთვის და რისთვისაა განკუთვნილი სახელმძღვანელო;
- შესავალ სიტყვაში ყურადღება გაამახვილეთ სოფლის მეურნეობის წილზე შიდა პროდუქტში და, რომ ძირითადად დარგი არაეფექტურია და რითია ეს არაეფექტურობა გამოწვეული;
- აუხსენით თუ რატომ გახდა საჭირო სახელმძღვანელოს შექმნა და რაში დაეხმარება ფერმერებს ის;
- გააცანით დამსწრეებს, რომ სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ზოგადად ფულადი ნაკადების დინება არასტაბილური და რისკიანია. სლაიდზე გრაფიკული გამოსახულებით აჩვენეთ მსმენელებს ფერმერულ მეურნეობაში ფულიადი ნაკადების მოძრაობა, რითაც დაანახებთ თუ რა ციკლს გადის ზოგადად ფული აგრობიზნესში;
- გააცანით მსმენელებს ბიზნესისთვის საჭიროებების დადგენის პროცესის ეტაპები და გააკეთეთ ჩამონათვალი, თუ რას მოიცავს ეს ეტაპები;

შენიშვნა:

ამ საკითხის შინაარსი იხილეთ პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემდეგ ქვეთავებში: სახელმძღვანელოს შესახებ; ფერმერობა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა; ოთხი ნაბიჯი ფინანსური გადაწყვეტილების მიღებამდე.

2. **საკითხი-ნაბიჯი 1. გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის:**

- რა ტიპის სესხი ან სასაქონლო კრედიტი გჭირდებათ? (სესხი საბრუნავი კაპიტალის გასაზრდელად, სესხი ძირითადი საშუალებების შესაძენად, სესხი შერეული მიზნობრიობისათვის);
- მცირე ფერმერის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ნიმუში;
- საბალანსო უწყისის ტერმინების განმარტება.

ხანგრძლივობა 30 წთ.

ძირითადი გზავნილები:

საკითხის ძირითადი მიზანია, მსმენელებს გააცნოს ბიზნეს სესხის რა ტიპები არსებობს მათი მიზნობრიობიდან გამომდინარე. ასევე გააცნოს აგრობიზნესის ფინანსური ანგარიშგების ნიმუში და განუმარტოს საბალანსო უწყისის ტერმინები.

ტრენინგ პროცესი:

- სანამ საკითხის შინაარსზე გადახვალთ, დასვით კითხვა რა ტიპის სესხებს იცნობენ ტრენინგის მონაწილეები ბიზნესის საჭიროებების დასაფინანსებლად და რა არის სასაქონლო კრედიტი მათი აზრით?
- პასუხების მიღებისა და შეჯერების შემდგომ, გააცანით აუდიტორიას ბიზნეს სესხები რა ტიპისა შეიძლება იყოს მათი მიზნობრიობის მიხედვით და თითოეულ სლაიდზე განუმარტეთ თოთოეული ტიპი;
- შემდგომ სლაიდზე ყურადღება გაამახვილეთ, რომ ფერმერებისთვის საკუთარი საქმიანობის შეფასება და შეფასების შედეგების გათვალისწინებით ფინანსური გადაწყვეტილების მიღება ძალიან მნიშვნელოვანია და, რომ შეფასების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი საბალანსო უწყისია (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების უწყისი);
- ჰკითხეთ მონაწილეებს თუ აქვთ გამოცდილება საბალანსო უწყისის შედგენაში და თუ იციან რას მოიცავს უწყისი? ეს ინფორმაცია გამოგადგებათ ტრენინგის ფასილიტაციაში;
- მონაწილეებს აუხსენით რისგან შედგება საბალანსო უწყისი და გააცანით საბალანსო უწყისის მთავარი განტოლება;
- შემდგომ სლაიდებზე აუხსენით რას ნიშნავს აქტივი, ვალდებულებები, კაპიტალი. დაწვრილებით გააცანით თითოეულის შინაარსი;
- უკეთ აღსაქმელად, სლაიდზე დაიტანეთ სახელმძღვანელოში მოცემული საბალანსო უწყისის ცხრილი, რისი მეშვეობითაც გააცანით თუ რომელ მხარეს იწერება აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი;
- მონაწილეები დაყავით მცირე ჯგუფებად, მიეცით წინასწარ განსაზღვრული სავარჯიშოები საბალანსო უწყისის შედგენაზე და განუსაზღვრეთ დავალება, რომ მოცემული ინფორმაცია ასახონ საბალანსო ცხრილში, სამუშაოდ მიეცით 7-8 წუთი;
- სავარჯიშოს დასრულების შემდგომ მიეცით ჯგუფებს 4-5 წუთი საკუთარი ნამუშევრების წარსადგენად, მიეცით რჩევები შეცდომების არსებობის შემთხვევაში, გადაუხადეთ მადლობა და გადადით შემდეგ საკითხებზე.

შენიშვნა:

პრაქტიკული მაგალითისთვის წინასწარ არის შემუშავებული საბალანსო უწყისის აღრიცხვის რამოდენიმე მაგალითი, რომლებიც დაურიგდებათ ჯგუფებს სავარჯიშოს შესასრულებლად.

საკითხის შინაარსი იხილეთ პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემდეგ ქვეთავებში: ნაბიჯი 1. გადაწყვიტეთ, როგორ მოიძიებთ დაფინანსებას თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის; რა ტიპის სესხი ან სასაქონლო კრედიტი გჭირდებათ? ფერმერის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ნიმუში.

3. **საკითხი-როდესაც საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება გჭირდებათ:**

- დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 1: სასაქონლო კრედიტი;
- დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 2: ფინანსური ორგანიზაციისგან სესხის აღება
- უზრუნველყოფა;
- პრაქტიკული მაგალითი: სასაქონლო კრედიტი თუ სესხი საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად
- საბანკო გარანტია;
- ბიზნესოვერდრაფტი;
- კერძო პირისგან სესხის აღება.

ხანგრლივობა 30 წთ.

ძირითადი გზავნილები:

საკითხის ძირითადი შინაარსი მოიცავს საბრუნავი კაპიტალის დაფინანსები შესაძლებლობების განხილვას. რა დროს იყენებს ფერმერი სასაქონლო კრედიტის დაფიანასების შესაძლებლობას, რა უპირატესობები და საყურადღებო საკითხები აქვს ამ ტიპის კრედიტს. გარდა ამისა, განხილული იქნება საბრუნავი კაპიტალის გაზრდის შესაძლებლობა ფინანსური ორგანიზაციიდან სესხის საშუალებით. სესხის ვადები, მოცულობები, უზრუნველყოფის ტიპები და აშ. მსგავსი სესხის უპირატესობები და საყურადღებო საკითხები. ასევე ყურადღება გამახვილდება სასაქონლო კრედიტისა და სესხის შედარებაზე, მოყვანილი იქნება მაგალითი თუ რომელი წყაროა კონკრეტულ შემთხვევაში უკეთესი. ასევე განხილული იქნება საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების სხვა წყაროები: საბანკო გარანტია, ოვერდრაფტი, სესხი კერძო პირისგან.

ტრენინგ პროცესი:

- შესავალ სიტყვაში ახსენეთ, რომ საბრუნავი კაპიტალი ბიზნეს საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვისთვის აუცილებელი კომპონენტია და თუ მისი გაზრდა გსურთ, ძირითადად ორი ალტერნატივა არსებობს-სასაქონლო კრედიტი და სესხი ფინანსური ორგანიზაცებიდან;
- შემდგომ სლაიდებზე დამსწრეებს გააცანით სასაქონლო კრედიტით სარგებლობის შესაძლებლობები.
- დასვით შეკითხვა აუდიტორიაში თუ არის ისეთი ვინმე, ვისაც უსარგებლია აღნიშნული კრედიტით და სთხოვეთ გაუზიაროს ჯგუფს თავისი გამოცდილება;
- განიხილეთ სასაქონლო კრედიტის უპირატესობები და საყურადღებო საკითხები;
- გააცანით დაფინანსების მოპოვების მეორე წყარო-სესხი ფინანსური ორგანიზაციებიდან, აქცენტი გააკეთეთ ინფორმაციაზე სესხის მოცულობისა და ვადების შესახებ, ახსენეთ რომ

რიგ შემთხვევებში საჭიროებს უზრუნველყოფას და განუმარტეთ რა იგულისხმება უზრუნველყოფის ქვეშ;

- დასვით შეკითხვა აუდიტორიაში თუ არის ისეთი ვინმე, ვისაც უსარგებლია აღნიშნული სახის სესხით და სთხოვეთ გაუზიაროს ჯგუფს თავისი გამოცდილება;
- განიხილეთ სესხის უპირატესობები და საყურადღებო საკითხები;
- დაუსვით შეკითხვა მონაწილეებს: მათი აზრით საბრუნავი კაპიტალისათვის სესხის აღება ჯობია თუ სასაქონლო კრედიტით სარგებლობა? დაასახელონ არგუმენტები შედარებისას;
- შემდგომ სლაიდზე მოიყვანეთ მაგალითი-სასაქონლო კრედიტისა და სესხის შედარებაზე, ახსენით მაგალითის პირობა და განიხილეთ ვიზუალური ინსტრუმენტების საშუალებით (სლაიდი, დაფა);
- შემდგომ სლაიდებზე განიხილეთ საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების სხვა წყაროები: საბანკო გარანტია, ბიზნეს ოვერდრაფტი, სესხი კერძო ფიზიკური პირისგან. გაიცანით თითოეულის შინაარსი, თუ რას ნიშნავს და უკეთ აღსაქმელად მოიყვანეთ მცირე მაგალითები;

შენიშვნა:

საკითხის შინაარსი იხილეთ პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემდეგ ქვეთავებში:

- დაფინანსების რომელი წყარო შეესაბამება თქვენი აგრობიზნესის საჭიროებებს ყველაზე მეტად?
- დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 1: სასაქონლო კრედიტი;
- დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 2: ფინანსური ორგანიზაციისგან სესხის აღება
- საბრუნავი კაპიტალისათვის სესხის აღება ჯობია თუ სასაქონლო კრედიტით სარგებლობა?
- პრაქტიკული მაგალითი: სასაქონლო კრედიტი თუ სესხი საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად;
- საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებისთვის გამოყენებული ფინანსური პროდუქტები.

დამატებითი ინფორმაცია:

შედარებით იშვიათ შემთხვევებში დაფინანსების მოპოვების წყაროა საერთაშორისო დონორების ან ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების გრანტები (საგრანტო რესურსების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა გაიცემა ძირითადი საშუალებების შესაძენად) ან კერძო წყაროებისგან აღებული სესხი.

4. საკითხი-როდესაც ძირითადი საშუალებების დაფინანსებას გჭირდებათ:

- დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 1: ფინანსური ორგანიზაციისგან სესხის აღება
- დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 2: სალიზინგო კომპანიისგან დაფინანსების მიღება
- დაფინანსების სხვა წყაროები: საგრანტო შესაძლებლობები, სახელმწიფო პროგრამები;
- აგროდაზღვევა.

ხანგრძლივობა 25 წთ.

ძირითადი გზავნილები:

საკითხის განხილვისას აქცენტები კეთდება ძირითადი საშუალებების დაფინანსების წყაროების შერჩევაზე. რა ტიპის წყაროები არსებობს. განხილული იქნება ფინანსური ორგანიზაციებიდან სესხის აღების შესაძლებლობები, მისი უპირატესობები და საყურადღებო საკითხები, ასევე სალიზინგო მომსახურების შესაძლებლობები, მისი უპირატესობები და საყურადღებო საკითხები. ამასთანავე აქვე განხილული იქნება დაფინასების მოპოვების სხვა წაყაროებიც, მაგალითად: საგრანტო პროგრამები და პროექტები, სახელმწიფო გრანტები. ამავე საკითხის ფარგლებში გაცნობილი იქნება აგროდაზღვევა და მასთან დაკავშირებული საკითხები.

ტრენინგ პორცესი:

- შესავალ სიტყვაში ახსენეთ ძირითადი საშუალებების როლი აგრობიზნეს საქმიანობაში, მათი ფლობისა და განახლების აუცილებლობა და ის, რომ ძირითადი საშუალებების შეძენა არცთუ ისე მცირე კაპიტალდაბანდებასთანაა დაკავშირებული და დაფინანსების მოპოვების ყველაზე ხშირი გზა ფინანსური ორგანიზაციებიდან აღებული სესხი ან ლიზინგია;
- მიაწოდეთ ზოგადი ინფორმაცია სესხების შესახებ (მაქსიმალური ვადა, საპროცენტო განაკვეთის ტიპი და აშ.);
- აუხსენით, მონაწილეებს რა ტიპის ძირითადი საშუალებების შეძენა არ ხდება სალიზინგო კომპანიებიდან და გააცანით ფინანსური ორგანიზაციებიდან სესხის აღების უპირატესობები და საყურადღებო საკითხები;
- გააცანით მონაწილეებს დაფინანსების მოპოვების მეორე გზა-სალიზინგო კომპანიების მომსახურება. როდისაა ხელსაყრელი მათი მომსახურების მიღება;
- ჰკითხეთ აუდიტორიაას, ხომ არ ქონიათ მსგავსი მომსახურებით სარგებლობის პრაქტიკა და სთხოვეთ გაუზიაროს ჯგუფს გამოცდილება;
- გააცანით როგორ ხდება სალიზინგო მომსახურების მიღება;
- განუმარტეთ ტრენინგის მონაწილეებს რა არის ლიზინგის ნარჩენი ღირებულება სალიზინგო ხელშეკრულებაში;
- მიაწოდეთ ინფორმაცია სალიზინგო მომსახურების უპირატესობებსა და საყურადღებო საკითხებზე;
- ინფორმაცია მიაწოდეთ დაფინანსების მოპოვების სხვა წყაროების შესახებ, როგორიცაა სახელმწიფო, საერთაშორისო და ადგილობრივი საგრანტო პროგრამები/პროექტები;
- ახსენით თუ რატომაა მნიშვნელოვანი ფერმერულ საქმიანობასი დაზღვევა, რა ტიპის ფინანსური პროდუქტია და რა ტიპის პროგრამები ხორციელდება საქართველოში აგროდაზღვევის კუთხით;
- ახსენით რას ნიშნავს ფრანშიზა, მეტი თვალსაჩინოებისათვის სლაიდზე განიხილეთ მცირე მაგალითი;

შენიშვნა:

საკითხის შინაარსი იხილეთ პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემდეგ ქვეთავებში: როდესაც ძირითადი საშუალებების შეძენის დაფინანსებას ფიქრობთ;

- დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 1: ფინანსური ორგანიზაციისგან სესხის აღება
- დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა 2: სალიზინგო კომპანიისგან დაფინანსების მიღება
- დაფინანსების სხვა წყაროები;
- აგროდაზღვევა.

დამატებითი ინფორმაცია:

საქართველოში აგრომიმართულებით სალიზინგო და სადაზღვეო მომსახურების გამწევი კომპანიები ძირითადად ჩართული არიან სახელმწიფო პროგრამებში და თავიანთ საქმიანობას ამ პროგრამების პირობების შესაბამისად ახორციელებენ.

5. **საკითხი-ნაბიჯი 2. შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები ბიზნესის განვითარების გეგმის დასაფინანსებლად.**

- ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი;
- პრაქტიკული მაგალითი: ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის განსაზღვრა.

ხანგრძლივობა 30 წთ.

ძირითადი გზავნილები:

საკითხის ძირითადი მიზანია თქვენი ბიზნესის ფულადი ნაკადების მოძრაობის შესაბამისად სესხის მოცულობის და გადახდისუნარიანობის განსაზღვრა. ბიზნესის ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის გაანგარიშების გაცნობა და მისი გამოყენებით პრაქტიკული მაგალითის გაკეთება.

ტრენინგ პროცესი

- ტრენინგის მონაწილეებს გააცანით, რომ როგორც წესი, ფინანსური ორგანიზაციები სესხის მოცულობის განსაზღვრისას და დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სხვადასხვა მონაცემებთან ერთად, ბიზნესის ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტს ითვალისწინებენ;
- ახსენით ბიზნესის ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი რას ნიშნავს და როგორ გამოანგარიშდება, გააცანით ზოგადი წესი კოეფიციენტის მნიშვნელობასთან დაკავშირებით;
- დასვით შეკითხვა, ჰქონიათ თუ არა მსგავს კოეფიციენტის გამოანგარიშებასთან შეხება ტრენინგის მონაწილეებს;
- სლაიდისა და დაფის დახმარებით განიხილეთ ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის გაანგარიშების პრაქტიკული მაგალითი,
- საწყისი საბალანსო უწყისის გაცნობის შემდგომ, მონაწილეები დაყავით იმავე ჯგუფებად და მიეცით დავალება პრაქტიკული მაგალითიდან, შეადგინონ საბალანსო უწყისი და გამოიანგარიშონ ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი როდესაც ფერმერს სურს სესხის მიღება 95 000 ლარის ოდენობით. შემდგომ მოახდინონ საინვესტიციო გეგმის კორექტირება 40 000 ლარის სესხის აღების შემთხვევაში. სავარჯიშოს შესასრულებლად მიეცით მაქსიმუმ 10-12 წუთი (მაგალთი აღებულია სახელმძღვანელოდან);
- სავარჯიშოს დასრულების შემდგომ მიეცით ჯგუფებს 4-5 წუთი საკუთარი ნამუშევრების წარსადგენად, მიეცით რჩევები შეცდომების არსებობის შემთხვევაში, გადაუხადეთ მადლობა და გადადით შემდეგ საკითხებზე.

შენიშვნა:

საკითხის შინაარსი იხილეთ პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემდეგ ქვეთავებში: ნაბიჯი 2. შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები ბიზნესის განვითარებისათვის დაფინანსების მოსაპოვებლად.

- რა არის ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი და რას გამოხატავს ეს მაჩვენებელი;
- ზოგადი წესი;
- პრაქტიკული მაგალითი: ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის განსაზღვრა.

დამატებითი ინფორმაცია:

როდესაც ბიზნესის განვითარებისთვის დაფინანსების წყაროებს ეძებთ, ძალიან მნიშვნელოვანია, შეაფასოთ, შეძლებს თუ არა ბიზნესი ყველა ვალდებულების დაფარვას მას შემდეგ, რაც დამატებით სესხს აიღებთ. ზოგადი წესის თანახმად, როდესაც ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი 30%-ზე ნაკლებია, ეს ნიშნავს, რომ ბიზნესის გასაფართოებლად დამატებითი სესხის აღება, დიდი ალბათობით, ზედმეტად სარისკოა. ამ კოეფიციენტის რეკომენდებული მაჩვენებლის გათვალისწინებით თქვენ შეგიძლიათ შეაფასოთ ვალდებულებების ის მაქსიმალური მოცულობა, რომლის ერთდროულად დაფარვის შესაძლებლობა აქვს თქვენს ბიზნესს, მიუხედავად სასესხო შენატანების მოცულობისა.

6. **საკითხი-ნაბიჯი 3. შეარჩიეთ პირობები, რომლებიც საუკეთესოდ შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას:**

- ბიზნეს სესხის ტიპები და მათი დაფარვის ვადები;
- საკრედიტო ხაზი;
- ვალუტის კურსის ცვლილების რისკი;
- საპროცენტო განაკვეთები;
- ფიქსირებული და ინდექსირებული (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთები;
- რას ნიშნავს ნომინალური და ეფექტური საპროცენტო განაკვეთები?

ხანგრძლივობა: 30 წთ.

ძირითადი გზავნილები:

საკითხის ძირითადი გზავნილებია დაფინანსების მიღებამდე ფერმერს შეეძლოს გადაამოწმოს და შეადაროს ფინანსური პროდუქტების პირობები, მაგალითად: სესხის ვადა, საპროცენტო განაკვეთი, სესხის მოსახურეობის, დამტკიცებისა და გაცემის ხარჯები, დაზღვევის ტიპები და აშ. განხილული იქნება ბიზნეს სესხის ტიპები, საკრედიტო ხაზი, ვალუტის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. ასევე, ფიქსირებული და ცვლადი (ინდექსირებული) საპროცენტო განაკვეთები. მსმენელები მიიღებენ ინფორმაციას რას ნიშნავს ეფექტური და ნომინალური საპროცენტო განაკვეთები.

ტრენინგ პროცესი:

- შესავალში აღნიშნეთ, რომ როდესაც საბლოოდ ჩამოყალიბდებით და შეარჩევთ დაფინანსების წყაროებს, ფინანსურ პროდუქტს, განსაზღვრავთ სესხის მოცულობას, თქვენ უკვე შეგიძლიათ განაცხადი გააკეთოთ სესხზე;
- შეახსენეთ, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე გადაამოწმონ სესხის პირობები და შეადარონ სხვა შემოთავაზებებს.
- განმარტეთ სესხის ტიპები, თუ რა ვადით გაიცემა ისინი მიზნობრიობიდან გამომდინარე რა ტიპის საპროცენტო განაკვეთი შეიძლება ჰქონდეს სესხებს;
- ცალკე განმარტეთ სესხი საბრუნავი კაპიტალის გაზრდისთვის;
- ასევე ცალკე განიხილეთ ძირითადი საშუალებების შეძენისთვის და შერეული მიზნობრიობისთვის სესხები;
- ახსენით რატომაა გრძელვადიანი სესხი მიზანშეწონილი დანადგარების შეძენისას;
- დასვით შეკითხვა, სმენიათ თუ არა საკრედიტო ხაზის შესახებ და თუ გამოუყენებიათ აღნიშნული პროდუქტი;
- განუმარტეთ დამსწრეებს რას ნიშნავს საკრედიტო ხაზი და რისთვის შეიძლება გამოიყენონ ფერმერებმა ის;
- განმარტეთ, თუ რატომაა რისკი ვალუტის კურსის ცვლილება;
- იკითხეთ, რა ტიპის საპროცენტო განაკვეთს იცნობენ ტრენინგის მონაწილეები?
- შესავალ სიტყვაში ახსენით, ძირითადად რას ითვალისწინებენ ფინანსური ორგანიზაციები თქვენთვის საპროცენტო განაკვეთის შეთავაზებისას
- ამ სლაიდში მიაწოდეთ ინფორმაცია, რომ არსებობს ფიქსირებული და ცვლადი (ინდექსირებული) საპროცენტო განაკვეთები;
- განმარტეთ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი;
- განმარტეთ ცვლადი (ინდექსირებული) საპროცენტო განაკვეთი. ახსენით რატომ იცვლება ინდექსირებული პროცენტი, რა არის ამის მიზეზი;
- დამსწრეებს მიაწოდეთ ინფორმაცია ფიქსირებული და ცვლადი საპროცენტო განაკვეთების უპირატესობებსა და საყურადღებო საკითხებზე;
- ამასთანავე, განმარტეთ რას ნიშნავს ნომინალური და ეფექტური საპროცენტო განაკვეთები, რას ითვალისწინებენ მათი დადგენისას;

შენიშვნა:

საკითხის შინაარსი იხილეთ პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემდეგ ქვეთავებში: ნაბიჯი 3. შეარჩიეთ პირობები, რომლებიც საუკეთესოდ შეესაბამება თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას;

- სესხები საბრუნავი კაპიტალისთვის;
- სესხი ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად;
- სესხი შერეული მიზნობრიობისათვის;
- საკრედიტო ხაზი;
- ვალუტის კურსის ცვლილების რისკები;
- საპროცენტო განაკვეთები;
- ფიქსირებული და ინდექსირებული (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთები;
  რას ნიშნავს ნომინალური და ეფექტური საპროცენტო განაკვეთები?

დამატებითი ინფორმაცია:

ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია მოგაწოდოთ ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია ხელშეკრულების ყველა პირობის, მათ შორის, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის

მოცულობის, და ყველა ფინანსური ხარჯის შესახებ. სესხის აღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე მოითხოვეთ ხელშეკრულების ნიმუში, დეტალური ინფორმაცია და შეძლებისდაგვარად სხვადასხვა შეთავაზებაც შეუდარეთ ერთმანეთს.

7. საკითხი-რა უნდა გავითვალისწინოთ სესხის სხვადასხვა ალტერნატივების განხილვისას?

- რჩევა 1. ერთმანეთს შეუდარეთ ფინანსური ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული სესხების ეფექტური და არა მხოლოდ ნომინალური საპროცენტო განაკვეთები;
- რჩევა 2. სესხის გადახდის გრაფიკის შერჩევისას გაითვალისწინეთ, რომ სხვადასხვა გრაფიკით სესხის დაფარვა, როგორც წესი,განსხვავებულ საპროცენტო ხარჯსაც გულისხმობს;
- რჩევა 3. დაგეგმეთ და წინასწარ განსაზღვრეთ ბიზნესსესხის მიღების დრო, რათა იგი თქვენი ბიზნესის დაფინანსების საჭიროების პერიოდს დაემთხვას.

ხანგრძლივობა 25 წთ.

ძირითადი გზავნილები:

საკითხის ძირითადი მიზანია მისცეს ფერმერებს რჩევები, როგორ შეარჩიონ სესხი ყველაზე ნაკლები ხარჯით? ერთმანეთს შეადარონ სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთები და არა ნომინალური საპროცენტო განაკვეთები. ასევე, ის რომ სხვადასხვა გრაფიკით სესხის დაფარვა ხშირად განსხვავებულ ეფექტურ საპროცენტო ხარჯსაც გულისხმობს და წინასწარ განსაზღვრონ სესხის მიღების დრო, რათა იგი დაემთხვეს ბიზნესის განვითარებისგეგმის დაფინანსების პერიოდს.

ტრენინგ პროცესი:

- დასვით შეკითხვა: როგორ შეარჩიოთ სესხი ყველაზე ნაკლები ხარჯით?
- აუხსენით აუდიტორიას, რომ ამისთვის არსებობს სამი რჩევა და შემდგომ სლაიდზე გახსენით პირველი რჩევა;
- განუმარტეთ, რომ ფინანსური ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული წინადადებებიდან შეადერეთ ერთმანეთს სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთები და არა ნომინალური საპროცენტო განაკვეთები და კიდევ ერთხელ აუხსენით, ნომინალურსა და ეფექტურ განაკვეთებს შორის რა განსხვავებაა;
- ახსენით, რომ სესხის გადახდის გრაფიკის შერჩევისას გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა გრაფიკით სესხის დაფარვა ხშირად განსხვავებულ ეფექტურ საპროცენტო ხარჯსაც გულისხმობს და განუმარტეთ თუ რას მოიცავს აღნიშნული;
- ახსენით, რომ დაგეგმონ და წინასწარ განსაზღვრონ სესხის მიღების დრო, რათა იგი დაემთხვეს ბიზნესის განვითარების გეგმის დაფინანსების პერიოდს.

შენიშვნა:

საკითხის შინაარსი იხილეთ პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემდეგ ქვეთავში: რა უნდა გავითვალისწინოთ სესხის სხვადასხვა ალტერნატივების განხილვისას?

დამატებითი ინფორმაცია:

გასათვალისწინებელია, რომ სესხის მიღება როგორც მსესხებლის, ისე საფინანსო ინსტიტუტის ძალისხმევას მოითხოვს. ერთი მხრივ, მსესხებელი წარადგენს ყველა საჭირო დოკუმენტსა და ფინანსურ ინფორმაციას, ხოლო, მეორე მხრივ, ფინანსური ორგანიზაცია სწავლობს და აანალიზებს წარდგენილ ინფორმაციას. იმისთვის, რომ სესხი უმოკლეს ვადაში მიიღოთ, საჭირო დოკუმენტები წინასწარ მოამზადეთ და მოაწესრიგეთ. ამასთანავე, ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი ფინანსური ორგანიზაცია განსაზღვრავს სესხის დამტკიცებიდან მის ათვისებამდე სესხზე შეთავაზებული პირობების მოქმედების პერიოდს, რაც იმას ნიშნავს, რომ სესხის დამტკიცების მომენტიდან მის გატანამდე თქვენ გაქვთ გარკვეული დრო, რაც შესაძლებლობას გაძლევთ, უფრო მოქნილად დაგეგმოთ ინვესტიციის განხორციელება.

8. **საკითხი-როგორ მოარგოთ სესხის ვადა ბიზნესში განხორციელებულ ინვესტიციას?**

- საბრუნავი თანხების შემცირება;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
- საბალანსო უწყისის ნიმუში „დაუბალანსებელი“ ვალდებულებებით;
- საბალანსო უწყისისს ნიმუში დაბალანსებული ვალდებულებებით.

ხანგრძლივობა 25 წთ.

ძირითადი გზავნილები:

მოცემული საკითხი მონაწილეებს აწვდის ინფორმაციას „საბრუნავი თანხების/კაპიტალის შემცირების“ სიტუაციასთან დაკავშირებით. თუ რა მიზეზით შეიძლება ფერმერმა ვეღარ მოახერხოს სამეწარმეო ციკლის დაფინანსება. აქვე განხილული იქნება საბალანსო უწყისისს აღრიცხვის მაგალითი „დაუბალანსებელი“ და „დაბალანსებული“ ვალდებულებებით, რათა ნათლად აღიქვას მსმენელმა ვალდებულებების დაფარვის ვადებისა და ბიზნესის განვითარების გეგმის ურთიერთდამოკიდებულება. ყურადღება გამახვილდება ასევე ლიკვიდურობის კოეფიციენტის მნიშვნელობასა და მის გამოთვლაზე.

ტრენინგ პროცესი:

- შესავალ სიტყვაში განიხილეთ, როგორ მოარგოთ ვალდებულების დაფარვის ვადები თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმას და მოიყვანეთ მიწის შესყიდვის მცირე მაგალითი და ახსენით თუ რას იწვევს საბრუნავი კაპიტალით, ძირითადი საშუალებების შეძენა;
- ახსენით რას ნიშნავს საბრუნავი კაპიტალის შემცირება და რა პრობლემებს იწვევს ბიზნესისთვის;
- დასვით შეკითხვა თუ ქონიათ მსგავის გამოცდილება დამსწრეებს და გაუზიარონ ჯგუფს მათი ისტორია;
- საკითხის შინაარსის უკეთ აღსაქმელად განიხილეთ მაგალითი დაუბალანსებელი და დაბალანსებული ვალდებულებებით, დაფაზე/ფლიპჩარტზე გადაიტანეთ მაგალითში არსებული ცხრილები და გამოთვალეთ ლიკვიდურობის კოეფიციენტები;

შენიშვნა:

საკითხის შინაარსი იხილეთ პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემდეგ ქვეთავებში: როგორ მოარგოთ სესხის ვადა ბიზნესში განხორციელებულ ინვესტიციას?

- საბალანსო უწყისის ნიმუში „დაუბალანსებელი“ ვალდებულებებით;
- საბალანსო უწყისისს ნიმუში დაბალანსებული ვალდებულებებით.

დამატებითი ინფორმაცია:

შეეცადეთ, სესხის ტიპები და მათი დაფარვის ვადები თქვენს ბიზნესსაჭიროებებს შეუსაბამოთ. კერძოდ, საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად აღებული სესხის დაფარვის ვადა შეუსაბამეთ ერთ საწარმოო ციკლს, ხოლო ძირითადი საშუალების დააფინანსებლად აღებული სესხის დაფარვის ვადა – მისი გამოყენების სასიცოცხლო ციკლს.

9. საკითხი-ნაბიჯი 4: შეარჩიეთ ვალდებულების გადახდის ისეთი გრაფიკი, რომელიც თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას შეესაბამება.

- სასესხო შენატანების განრიგი;
- სასესხო შენატანები;
- ვალუტა.

ხანგრძლივობა 20 წუთი.

ძირითადი გზავნილები:

ძირითადი აქცენტი მიმართულია გადახდის გრაფიკის მნიშვნელობაზე, თუ რამდენად მიესადაგება იგი ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას. გადახდის გრაფიკის შეთანხმებისას ყურადღება ეთმობა ძირითადად სამ რამეს: სასესხო შენატანების განრიგს, სასესხო შენატანების მოცულობასა და ვალუტას.

ტრენინგ პროცესი:

- შინაარსის გაცნობამდე დასვით შეკითხვა ჯგუფთან, ჰქონია თუ არა ვინმეს ბიზნეს სესხი და რა ტიპის გრაფიკით შეჰქონდა სასესხო შენატანები, რა უპირატესობა და საყურადღებო საკითხები ჰქონდა/აქვს მის გრაფიკს, სთხოვეთ გაუზიაროს თავისი გამოცდილება დამსწრეებს;
- შესავალ სიტყვაში ყურადღება გაამახვილეთ, რომ აგრობიზნესისთვის გადახდის გრაფიკი, სესხის შენატანების მოცულობა და შენატანების ვალუტა მნიშვნელოვანია და, რომ სამივე სასურველია შეესაბამებოდეს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობის პერიოდს და ვალუტას, რათა საქმიანობის უწყვეტობას არ შეექმნას გარკვეული პრობლემები;
- ახსენით სასესხო შენატანების განრიგის დაგეგმვის მნიშვნელობა ბიზნესისათვის, ყურადღება მიაქციეთ სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციის შესაძლო შემოთავაზებებს გრაფიკთან მიმართებაში;
- აუდიტორიას გააცანით სასესხო შენატანების მოცულობასთან დაავშირებული ინფორმაცია, აუხსენით, რომ მნიშვნელოვანია შეძლონ დადგენილი სასესხო შენატანების გადახდა ისე, რომ მოსავლის რეალიზაციის შემდგომ დარჩეთ საკმარისი სახსრები შენატანებისთვის, მიმდინარე დავალიანების დასაფარად, მომდევნო მოსავლის დასათესად და სხვა დამატებითი ხარჯების გასასტუმრებლად;
- განუმარტეთ - იმისათვის, რომ აგრობიზნესს არ შეექმნას პრობლემები სესხის დაფარვასთან დაკავშირებით, წინასწარ განსაზღვრონ ბიზნესის განვითარების გეგმის დასაფინანსებელი ვალუტა, სასურველია რომ იგი შეესაბამებოდეს ფულადი ნაკადების მოძრაობის ვალუტას.

შენიშვნა:

საკითხის შინაარსი იხილეთ პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემდეგ ქვეთავებში: ნაბიჯი 4: შეარჩიეთ ვალდებულების გადახდის ისეთი გრაფიკი, რომელიც თქვენს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას შეესაბამება.

დამატებითი ინფორმაცია:
როდესაც ზუსტად განსაზღვრავთ, რა მოცულობის დაფინანსება გჭირდებათ თქვენი ბიზნესის განვითარების გეგმის განსახორციელებლად, დაადგენთ დაფინანსების წყაროს და შეარჩევთ სესხის ტიპს, საპროცენტო განაკვეთთან ერთად თქვენს საფინანსო ინსტიტუტთან სესხის გადახდის გრაფიკიც შეათანხმეთ. მნიშვნელოვანია, რომ სესხის გადახდის გრაფიკი შეესაბამებოდეს თქვენი ბიზნესის ფულადი ნაკადების მოძრაობას.

10. საკითხი - ინვესტიციები ენერგოეფექტიანობის გაზრდისა და ხარჯების შემცირებისთვის:

- ენერგოეფექტიანობის ინვესტიციები;
- პრაქტიკული მაგალითი: მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურენო ტექნიკა.

ხანგრძლივობა: 25 წუთი.

ძირითადი გზავნილები:

საკითხის შინაარსი მოიცავს ენერგოეფექტიანობის ინვესტიციების განხილვას. რა საშუალებები არსებობს ენერგოეფექტიანობის ზრდისა და დანახარჯების შესამცირებლად. მოყვანილი იქნება მცირე მაგალითთები სახელმძღვანელოდან რა მიმართულებითაა შესაძლებელი ენერგოეფექტიანი ინვესტიციების განხორციელება. აქვეა განხილული მაგალითი მრავალფუნქციური მექანიზაციით მიწის დამუშავების ეფექტურობის მაგალითი, რომელიც აჩვენებს თუ რამდენად განსხვავებულია საწვავის ხარჯი ტრადიციულ მეურნეობასთან შედარებით.

ტრენინგ პროცესი:

- შესავალ სიტყვაში ყურადღება გაამახვილეთ ფერმერული მეურნეობების ზრდასთან მიმართებაში საქმიანობის ეფექტურობისა და დანახარჯების შემცირების მნიშვნელობაზე;
- დამსწრეებს გააცანით მცირე მაგალითები რა მიმართულებითაა შესაძლებელი ენერგოეფექტიანი ინვესტიციების განხორციელება; დასვით შეკითხვა, აქვს თუ არა ვინმეს მსგავსი გამოცდილება ჯგუფიდან და თუ აქვთ, გაუზიარონ დამსწრეებს;
- განიხილეთ მაგალითი, მრავალფუნქციური ტექნიკით მიწის დამუშავების ეფექტურობის შესახებ;

შენიშვნა:

საკითხის შინაარსი იხილეთ პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემდეგ ქვეთავებში: ინვესტიციები ენერგოეფექტიანობის გაზრდისა და ხარჯების შემცირებისთვის;

- პრაქტიკული მაგალითი: მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურენო ტექნიკა.

დამატებითი ინფორმაცია:

მრავალფუნქციური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა – ტექნიკა, რომელიც რამდენიმე სახეობის მინდვრის სამუშაოს ერთდროულად ასრულებს. მაგალითად, ერთი აგრეგატის გამოყენებით შესაძლებელია მიწის მოხვნა, კულტივაცია და მასში სასუქის შეტანა, აგრეთვე შესაძლებელია დათესვა/დარგვა, მიწის შემოყრა და სასუქის მიცემა და ა. შ.. ეს ტექნიკა საწვავს ეფექტიანად მოიხმარს, რადგან ის რამდენიმე სახეობის სამუშაოს ერთდროულად „აკეთებს"; ეს კი ამცირებს შესაბამისი ტექნიკით მინდვრის შემოვლის რაოდენობას.

11. საკითხი-პრაქტიკული ბიზნეს მაგალითი: ახალი ტრაქტორის შეძენა და ბეღელის აშენება:

- თითოეული ნაბიჯის გათვალისწინებთ ბიზნესის განვითარების გეგმის დაფინანსებისთვის საუკეთესო გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკული მაგალითი.

ხანგრძლივობა 30 წუთი.

ძირითადი გზავნილები:

საკითხის ფარგლებში განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითი ახალი ტრაქტორის შეძენა და მარცვლეულის შესანახი ბეღელის აშენება. აღნიშნულ მაგალითში ფერმერი გაივლის ოთხივე ნაბიჯს თავისი ბიზნესის განვითარების გეგმის დაფინანსების საუკეთესო პირობების შესარჩევად.

ტრენინგ პროცესი:

- ტრენინგის მონაწილეებს გააცანით მაგალითის შინაარსი, აუხსენით, რომ მაგალითში განხილული და შეჯამებული იქნება ყველა ის ნაბიჯი, რომელიც ფერმერეს მიიყვანს დაფინანსების უკეთესი პირობების შერჩევამდე; გააცანით პირველ ნაბიჯში ასახული ინფორმაცია სლაიდების დახმარებით და ჩანიშვნები გააკეთეთ თვალსაჩინო ადგილას, დაფაზე ან „ფლიპჩარტზე". პირველი ნაბიჯში წარმოდგენილია ორი ფინანსური ორგანიზაციის მიერ გაკეთებული სასესხო შემოთავაზებები, მათი პირობები და დაფარვის ვადები რომელთაგანაც ფერმერემა უნდა აარჩიოს ერთი;
- გადადით მეორე ნაბიჯის გაცნობაზე - საკუთარი შესაძლებლობების ანალიზი გააცანით მონაწილეებს ფერმერის არსებული და სესხის აღების შემთხვევაში მოსალოდნელი საბალანსო უწყისები და ბიზნესის ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტები,;
- კოეფიციენტების დადგენის შემდგომ გააცანით მონაწილეებს N1 და N2 ბანკის მიერ შემოთავაზებული პირობები (საპროცენტო განაკვეთი, დაფარვის ვადა და სესხის ღირებულება), როგორ მიესადაგება ფერმერის ბიზნეს საქმიანობას.
- გააცანით მონაწილეებს შენატანი თანხის მოცულობისა და ვალუტის შესახებ ფერმერის საქმიანობიდან გამომდინარე არსებული ინფორმაცია;
- გააკეთეთ დასკვნა, ფინანსური ორგანიზაციების მხრიდან შემოთავაზებული წინადადებებიდან რომელს მიანიჭა ფერმერემა უპირატესობა და რატომ.

შენიშვნა:

საკითხის შინაარსი იხილეთ პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემდეგ ქვეთავში: პრაქტიკული ბიზნეს მაგალითი: ახალი ტრაქტორის შეძენა და ბეღელის აშენება.

12. საკითხი-მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობა

- უფლებებისა და პასუხისმგებლობების მიმოხილვა;
- ვის შეგიძლიათ მიმართოთ, თუ ფინანსური ორგანიზაციის მიმართ პრეტენზია გაქვთ?

ხანგრძლივობა 20 წუთი.

ძირითადი გზავნილები:

მნიშვნელოვანია ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობისას მომხმარებელმა იცოდეს რა უფლებები გააჩნია და რა პასუხიმგებლობები აკისრია, ვის მიმართოს პრობლემების წარმშობის შემთხვევაში.

ტრენიგ პროცესი:

- დაუსვით კითხვა ტრენინგის მონაწილეებს, შექმნიათ თუ არა პრობლემების ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში და, როგორ მოუგვარებიათ ეს პრობლემები;
- გააცანით მონაწილეებს, რომ ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობისას მათ გააჩნიათ უფლებები და პასუხისმგებლობები, პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში არსებობს საჩივრის მექანიზმი, შექმნილია მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი და არსებობს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილება;

განიხილეთ ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი და სამოქალაქო კოდესქის 625 მუხლი.

მომხმარებელტა უფლებების დაცვის წესი შეგიძლიათ იხილოთ აქ : https://matsne.gov.ge/ka/document/view/3500606 სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლი კი აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702

შენიშვნა:

საკითხის შინაარსი იხილეთ პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემდეგ ქვეთავში: უფლებებისა და პასუხისმგებლობების მიმოხილვა;

- ვის შეგიძლიათ მიმართოთ, თუ ფინანსური ორგანიზაციის მიმართ პრეტენზია გაქვთ?

13. საკითხი-არ დაგავიწყდეთ, იკითხოთ

ხანგრძლივობა 20 წუთი.

ძირითადი გზავნილები:

საკითხი მოიცავს შეკითხვებს, თუ რა ინფორმაციას უნდა მიაქციოს ყურადღება ფერმერმა ვიდრე ფინანსურ გადაწყვეტილებას მიიღებდეს, რა შეკითხვები უნდა დასვას მან, რომელზე პასუხიც სასურველია ფინანსური ინსტიტუტის თანამშრომელთან დააზუსტოს. გაითვალისწინეთ, რომ

ფერმერს შეუძლია გადაწყვეტილების მიღებამდე ხელშეკრულების შაბლონი/ნიმუში მოსთხოვოს ფინანსურ ორგანიზაციას და საჭიროების შემთხვევაში, იურისტთანაც განიხილოს.

ტრენინგ პროცესი:

- ახსენით, რომ ფინანსურ ორგანიზაციას შეუძლია სესხის შემოთავაზებასთან ერთად, პასუხისმგებლიანი და გამჭვირვალე რჩევებიც გაგიზიაროთ. ქვემოთ თქვენ იხილავთ იმ მნიშვნელოვანი კითხვების სიას, რომელიც შეგიძლიათ დაუსვათ თქვენს ფინანსურ ორგანიზაციას და განიხილოთ ერთად, ვიდრე ფინანსურ გადაწყვეტილებებს მიიღებთ;
- შეუძლია თუ არა ფინანსურ ორგანიზაციას, სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის შემომთავაზოს სხვადასხვა საფინანსო პროდუქტი?
- რამდენად შეუძლია ფინანსური ორგანიზაციის წარმომადგენელს, ჩემთვის უფრო გასაგებად ამიხსნას სხვადასხვა საფინანსო პროდუქტის მიზნები, უპირატესობები და მათთან დაკავშირებული ხარჯები?
- რა კრიტერიუმებს იყენებს ფინანსური ორგანიზაცია ჩემი ბიზნესისთვის კონკრეტული საფინანსო პროდუქტის შეთავაზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას? ითვალისწინებს თუ არა იგი ჩემს ფინანსურ მდგომარეობას, სესხის უზრუნველყოფას ან ბანკებთან ჩემი ურთიერთობის გამოცდილებას?
- სიღრმისეულად აფასებს თუ არა ფინანსური ორგანიზაცია ჩემს ბიზნესს და მასთან დაკავშირებულ შესაძლობლობებსა და რისკებს, თუ მხოლოდ ბიზნესის ფინანსურ ანგარიშგებებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას?
- რომელი საფინანსო პროდუქტ(ებ)ი შეესაბამება ჩემს ბიზნესს? არსებობს თუ არა კიდევ სხვა კონკრეტული საფინანსო პროდუქტი (მაგალითად, სახელმწიფო პროგრამა, გრანტი ან აგროდაზღვევა), რომელიც ხელმისაწვდომია და საინტერესოა ჩემი ბიზნესისთვის?
- ჩემი მომსახურე ფინანსური ორგანიზაციის წინადადება უკეთესია თუ სხვა ფინანსური ორგანიზაციების შეთავაზებები? კონკრეტულ შემთხვევაში სასაქონლო კრედიტი ხომ არ სჯობია სესხს?
- ნამდვილად შევისწავლე თუ არა დაფინანსების ყველა შესაძლებლობა ჩემი ბიზნესის განვითარების გეგმის განსახორციელებლად და შევუდარე თუ არა ეს შესაძლებლობები სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტის და/ან მომწოდებლის შეთავაზებებს?
- რა ინფორმაციას მოიცავს ხელშეკრულების თავსართი და რა საკომისიოები ახლავს თან სესხის აღებას?
- საჭიროების შემთხვევაში შემიძლია თუ არა ფინანსურ ინსტიტუტს წარვუდგინო პრეტენზია და რა ვადაში მოხდება ჩემი პრეტენზიის განხილვა?
- ჩემი ბიზნესის განვითარების გეგმის დაფინანსებისთვის არსებობს თუ არა სესხები ფიქსირებული ან ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით? თუ შევადარე და განვიხილე ფიქსირებულ ან ცვლად საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული ყველა უპირატესობა და რისკი?
- რამდენია სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი თითოეული შეთავაზების შემთხვევაში? რა სავალდებულო ხარჯებია გათვალისწინებული ამ განაკვეთის გაანგარიშებაში გარდა სესხის საპროცენტო სარგებლისა, , მაგალითად, მომეთხოვება თუ არა დაზღვევა? თუ მაქვს საკმარისი ინფორმაცია იმისთვის, რომ სხვადასხვა შეთავაზება ერთმანეთს შევუდარო და ინფორმირებული არჩევანი გავაკეთო?
- სესხის გადახდის ვადა შეესაბამება თუ არა ჩემს ინვესტიციაზე უკუგების ვადას და მაძლევს თუ არა ჩემი ფინანსური ორგანიზაცია შესაბამის დროს სესხის გადასახდელად?
- მთავაზობს თუ არა ჩემი პარტნიორი ფინანსური ორგანიზაცია სესხის გადახდის ისეთ გრაფიკს, რომელიც ჩემს ბიზნესში ფულადი ნაკადების მოძრაობას შეესაბამება?

14. საკითხი-სასარგებლო ბმულები

ხანგრძლივობა: 30 წუთი (მათ შორის 15 წუთი ტრენინგის შემდგომ ტესტის შევსება+10 წუთი დამატებითი შეკითხვებისთვის)

კურსის წარმართვის გზამკვლევი:

- გახსენით სასარგებლო ბმულების სლაიდი;
- აუდიტორიას მიაწოდეთ თითოეული ბმულის შესახებ ინფორმაცია და გაავლეთ პარალელი კურსის შინაარსთან;
- ახსენეთ, რომ აღნიშნული ბმულები დამსწრეებს შეუძლიათ მოიძიონ კურსის სახელმძღვანელოში;

დასასრულს აღნიშნეთ, რომ:

„სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება არის ბიზნესის წარმატების და კეთილდღეობის საწინდარი. ჩვენ გვჯერა, რომ ამ ბროშურაში მოცემული რჩევები, თქვენი მომსახურე ორგანიზაციის გონივრულ რჩევებთან ერთად, დაგეხმარებათ სწორი ფინანსური გადაწყვეტილების მიღებაში“

- მიეცით აუდიტორიას შესაძლებლობა, რომ დასვან შეკითხვები;
- განიხილეთ ტრენინგის დასაწყისში განსაზღვრული მოლოდინები გაუმართლდათ თუ არა დამსწრეებს;
- ჰკითხეთ დამსწრეებს, ხომ არ სურთ რომელიმე საკითხის გამეორება;
- დასასრულს, შეავსებინეთ დამსწრეებს პოსტ ტესტი და ტრენინგის შეფასების კითხვარი.